ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №834

20 მაისი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 31 დეკემბრის №2214 ბრძანებით განსაზღვრული, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2016 წლის 14 აპრილის №3559-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფელბით (იჯარა) გასაცემი ობიექტების ნუსხა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი 1

(პრივატიზება)

N	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ	მისამართი	შენიშვნა
1	02.05.10.012	180	ქალაქი რუსთავი, ქუჩა რუსთაველი, N37 მიმდებარედ	სზ-5
2	02.03.04.709	58+03	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი VII, სახლი N8 მიმდებარედ	სზ-6
3	02.02.08.094	100	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XVI, მიმდებარე ტერიტორია	სზ-5
4	02.02.08.093	100	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი XVI, მიმდებარე ტერიტორია	სზ-5
5	02.04.02.585	150	ქალაქი რუსთავი, ჩიხი თოდრია I, N17 საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორია	სზ-5
6	02.03.07.013	220	ქალაქი რუსთავი, ქუჩა მესხიშვილის, N4 სახლის მიმდებარე ტერიტორია	სზ-5

დანართი 2

(სარგებლობა)

N	საკადასტრო კოდი	მიწის ნაკვეთის ფართობი კვ/მ	მისამართი	შენიშვნა
1	02.03.04.708	24	ქალაქი რუსთავი, მიკრო რაიონი VII, სახლი N8 მიმდებარედ	ტზ-1